131	BCL0007-LS	შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება	5/135	15	30				2	1	87
132	COL0007-LS	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
133	BIL0007-LS	საბანკო და სადაზღვევო სამართლის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
		სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის საფუძვლები									
134	NSSDE07-LS	მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია	5/135	15	30				2	1	87
135	BSWO007-LS	სოციალური მუშაობის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
136	BSLG007-LS	სახელმწიფოებრიობის ანალიზის მეთოდოლოგია	5/135	15	30				2	1	87
137	DOCMS07-LS	დოკუმენტაციის დონებისა და საკმისწარმოების საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
138	ADMM007-LS	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	5/135	15	30				2	1	87
139	MOSA007-LS	სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
		პროფესიული თარგმანი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები)									
140	LSP0107-P	მიზნობრივი ენა (I)	5/135		45				2	1	87
141	OCO0507-P	ზეპირმეტყველება	5/135		45				2	1	87
142	LSP0207-P	მიზნობრივი ენა (II)	5/135		45				2	1	87
143	WCO0607-P	წერითი კომუნიკაცია	5/135		45				2	1	87
144	LSP0307-P	მიზნობრივი ენა (III)	5/135		45				2	1	87
145	TPT0807-LP	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5/135		45				2	1	87
		საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები									
146	POLT007-LS	პოლიტიკური ტექნოლოგიები	5/135	15	30				2	1	87
147	GPOL007-LS	გეოპოლიტიკა	5/135	15	30				2	1	87
148	GAN0007-LS	გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	5/135	15	30				2	1	87

149	PR0007-LS	საზოგადოებასთან ურთიერთობა	5/135	15	30				2	1	87
150	TIR0007-LS	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5/135	15	30				2	1	87
151	IOI0007-LS	საერთაშორისო ორგანიზაციები	5/135	15	30				2	1	87
		კონფლიქტის მენეჯმენტი									
152	BCONF07-LS	კონფლიქტოლოგიის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
153	ANCON07-LS	კონფლიქტის ანთროპოლოგია	5/135	15	30				2	1	87
154	PCONF07-LS	პოლიტიკური კონფლიქტები	5/135	15	30				2	1	87
155	PIDPC07-LS	პოლიტიკური იდეოლოგიები და პოლიტიკის ფილოსოფია	5/135	15	30				2	1	87
156	PCONF07-LS	საზოგადოება და კონფლიქტი	5/135	15	30				2	1	87
157	MCONS07-LS	კონფლიქტის მოგვარების მეთოდები	5/135	15	30				2	1	87
		საინფორმაციო ტექნოლოგიები									
158	PROLA07-LP	დაპროგრამების ენები	5/135	15	30				2	1	87
159	USSOP07-LP	პროგრამული პაკეტების გამოყენება	5/135	15		30			2	1	87
160	ESDAT07-LP	მონაცემთა ბაზების აგება	5/135	15		30			2	1	87
161	SYMAD07-LP	მართვის სისტემები	5/135	15		30			2	1	87
162	CLOSA07-LP	კლიენტ-სერვერის არქიტექტურა	5/135	15		30			2	1	87
163	COMOD07-LP	კომპიუტერული მოდელირება	5/135	15		30			2	1	87
		საჯარო სამართლის საფუძვლები									
164	CMR0007-LS	საქართველოს კონსტიტუცია და ძირითადი უფლებები	5/135	15	30				2	1	87
165	BAL0007-LS	ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
166	MUL0007-LS	მუნიციპალური სამართალი	5/135	15	30				2	1	87
167	TPF0007-LS	გადასახადები და საჯარო ფინანსები	5/135	15	30				2	1	87
168	BSL0107-LS	სამოხელეო სამართლის საფუძვლები	5/135	15	30				2	1	87
169	ALP0007-LS	ადმინისტრაციული დავების განხილვა სასამართლოში	5/135	15	30				2	1	87
		ჟურნალისტიკა									
170	HISJU07-LS	ჟურნალისტიკის ისტორია	5/135	15	30				2	1	87
171	ANALJ07-LS	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	5/135	15	30				2	1	87
172	MPRCH07-LS	მედიის ენა და სტილი	5/135	15	30				2	1	87
173	INFGE07-LS	ინფორმაციული ჟანრები	5/135	15	30				2	1	87
174	IOMCK07-LS	მასკომუნიკაციის შესავალი	5/135	15	30				2	1	87

175	THELJ07-LS	ჟურნალისტიკის ელემენტები	5/135	15	30					2	1	87
		ტელე-რადიო ჟურნალისტიკა										
176	BRMED07-LS	სამაუწყებლო მედია	5/135	15	30					2	1	87
177	CARSP07-LP	საეთერო მეტყველების კულტურა	5/135	15		30				2	1	87
178	SKTVB07-LS	ტელესაეთერო ოსტატობა	5/135	15	30					2	1	87
179	TVRPL07-LS	ტელე-რადიო სიუჟეტი	5/135	15	30					2	1	87
180	DOKJU07-LS	დოკუმენტური ჟურნალისტიკა	5/135	15	30					2	1	87
181	BPHJO07-LS	ფოტო ჟურნალისტიკის საფუძვლები	5/135	15	30					2	1	87

პროგრამის ხელმძღვანელი

კარლო ღურწყაია

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

ივანე ჯაგოდნიშვილი

სამსახურის უფროსი

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

4 ივლისი, 2012 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

მოდირიცირებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

13 მაისი, 2016 წელი

ოქმი №12

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან

გიორგი ძიმიგური

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**
2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**
5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
7. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
8. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
9. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
 - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

11. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

15. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

დანართი 2.

დამტკიცებულია სტუ-ს
აკადემიური საბჭოს 2012 წლის
6 ივლისის №732 დადგენილებით

სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები

შეფასების ფორმა	მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები
ყოველკვირეული შეფასება	ყოველკვირეული ტესტირება იძლევა ახსნილი მასალის ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობას. შემოწმება ხდება სხვადასხვა სახით: ტესტი (ღია ან დახურული კითხვები) ¹ , კაზუსი, საკითხები და სხვ. იგი ტარდება წერილობითი ფორმით.

¹ ღია კითხვა _კითხვის სახეობა, რომელიც არ სთავაზობს სტუდენტს პასუხების შესაძლო ვარიანტებს.

	<p>ყოველკვირეული შეფასების შესაძლო მაქსიმუმი შეადგენს ორ ქულას.</p> <p>თუ წერითი გამოკითხვის შეფასება ხდება ტესტით და იგი მოიცავს 4 მაგალითს. სწორად ამოხსნილი თითოეული მათგანი ფასდება 0,5 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას. დახურული კითხვების შემთხვევაში თითოეულ მაგალითს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.</p> <p>თუ წერითი გამოკითხვის შეფასება ხდება საკითხებით (კაზუსებით) და საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 2 ქულა, შეფასების კრიტერიუმებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 1.5-2.0 ქულა. პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი, მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 1.0-1.5 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია, არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 0.5-1.0 ქულა - პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. არის ფრაგმენტული მსჯელობა. 4. 0.1-0.5 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. არ არის გამოყენებული სპეციალური ტერმინოლოგია. პასუხი არსებითად მცდარია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 5. 0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. <p>თუ წერითი გამოკითხვის შეფასება ხდება ღია კითხვებით (2 ერთეული) და თითოეულ კითხვას მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 1 ქულა, შეფასების კრიტერიუმებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 0.8-1.0 ქულა - პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. კაზუსი უნაკლოდ არის ამოხსნილი. მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 0.5-0.8 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომები არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 0.3-0.5 ქულა - პასუხი არასრულია. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. მსჯელობა ფრაგმენტულია. 4. 0.1-0.3 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 5. 0 ქულა - პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.
<p>საშინაო დავალებები</p>	<p>სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა მოამზადოს და წერილობითი ან სხვა ფორმით წარმოადგინოს მასალა საშინაო დავალების სახით.</p> <p>არსებობს სხვადასხვა ტიპის საშინაო დავალებები. მაგალითად: სტუდენტს შეიძლება დაევალოს ნახატის, ნახაზის შესრულება, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნა, საკურსო სამუშაოებისა და პროექტების, აგრეთვე საკითხის ან პრობლემის შესახებ მასალის მომზადება, ან/და ამა თუ იმ ინფორმაციის მოძიება (სტატია, განმარტება, წიგნი, ინტერვიუ, გამოკითხვა) და</p>

დახურული კითხვა _ კითხვის სახეობა, რომელსაც თან ახლავს პასუხების სავარაუდო ვარიანტები.

	<p>სხვ.</p> <p>საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებია: მასალის დამუშავების დონე, ინფორმაციის სიზუსტე, მსჯელობა და სხვ. სემესტრის ბოლოს სტუდენტმა დავალებების კრებული (დოკუმენტური მასალა) უნდა ჩააბაროს სასწავლო კურსის წამყვან პროფესორს, რაც წარმოადგენს დასკვნით გამოცდაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობას.</p>
<p>შუალედური გამოცდა (ტესტირება)</p>	<p>შუალედური გამოცდის (ტესტირების) დროს სტუდენტს ევალება განვლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტით (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხებით, ნახატის, ნახაზის, კლაუზურას შესრულებით, ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა/ჩატარებით და სხვა.</p> <p>თუ შუალედური გამოცდის შეფასება ხდება 4 საკითხით და თითოეულს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 5 ქულა, გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 4-5 ქულა - პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შეცდომები არ არის. მსჯელობა მაღალ დონეზეა. 2. 3-4 ქულა - პასუხი სრულია, თუმცა შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. მსჯელობა კარგია. 3. 2-3 ქულა - პასუხი არასრულია. სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები, არის ფრაგმენტული მსჯელობა. 4. 1-2 ქულა - პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარია, საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. 0.1-1 ქულა - პასუხი ნაკლოვანია. სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 6. 0 ქულა. პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. <p>თუ შუალედური გამოცდის შეფასება ხდება კლაუზურით ან ხატვაში, შეფასება შემდეგნაირად ხდება:</p> <p>კლაუზურა – მაქსიმალური ქულა 20</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 4 <ol style="list-style-type: none"> 1. 3-4 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე. 2. 2-3 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. 3. 1-2 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. 4. 0,1-1 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია. 5. 0 ქულა – ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით.

2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4

1. 3-4 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე.
2. 2-3 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია.
3. 1-2 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული.
4. 0,1-1 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული.
5. 0 ქულა – ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება.

3. პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4

1. 3-4 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.
2. 2-3 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.
3. 1-2 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.
4. 0,1-1 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.
5. 0 ქულა – პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული შესრულება დაბალია.

4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 4

1. 3-4 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.
2. 2-3 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.
3. 1-2 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი.
4. 0,1-1 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა.
5. 0 ქულა – ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.

5. პროექტის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 4

1. 3-4 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. პროექტის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით
2. 2-3 ქულა – მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.
3. 1-2 ქულა – მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია.
4. 0,1-1 ქულა – მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს.
5. 0 ქულა – ვერ შესძლო პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის.

კლავურა – მაქსიმალური ქულა 10

1. საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით – მაქსიმალური ქულა 2

1. 1,5-2 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე.

2. 1-1,5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები.

3. 0,5-1 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული.

4. 0,1-0,5 ქულა – საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია.

5. 0 ქულა – ვერ შეძლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით.

2. პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 2

1. 1,5-2 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. შესრულებულია მაღალ დონეზე.

2. 1-1,5 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია.

3. 0,5-1 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. იგი სრულად არის დამუშავებული, მაგრამ ზომები არ არის მითითებული.

4. 0,1-0,5 ქულა – გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული.

5. 0 ქულა – ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება.

3. პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი – მაქსიმალური ქულა 2

1. 1,5-2 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

2. 1-1,5 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

3. 0,5-1 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

4. 0,1-0,5 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

5. 0 ქულა – მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული დონე დაბალია.

4. პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა – მაქსიმალური ქულა 2

1. 1,5-2 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

2. 1-1,5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

3. 0,5-1 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუზრებელია ტექნოლოგიური პროცესი.

	<p>4. 0,1–0,5 ქულა – ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა.</p> <p>5. 0 ქულა – ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.</p> <p>5. პროექტის დაცვის უნარი – მაქსიმალური ქულა 2</p> <p>1. 1,5-2 ქულა – მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. პროექტის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით</p> <p>2. 1–1,5 ქულა – მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას.</p> <p>3. 0,5–1 ქულა – მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია.</p> <p>4. 0,1–0,5 ქულა – მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული. ვერ ასახავს წარმოდგენილი პროექტის შინაარსს.</p> <p>5. 0 ქულა – ვერ შეძლო პროექტის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის.</p> <p>ხატვა – მაქსიმალური ქულა 20</p> <p>1. კომპოზიციური განაწილება – მაქსიმალური ქულა 4</p> <p>1. 2–4 ქულა – დასახატი ობიექტი ფორმატზე კომპოზიციურად განაწილებულია მაღალ დონეზე. მასშტაბი დაცულია.</p> <p>2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის ფორმატზე კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ გრძნობს მასშტაბს.</p> <p>3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის კომპოზიციური განაწილება.</p> <p>2. აგება. პროპორციების დაცვა – მაქსიმალური ქულა 4</p> <p>1. 2–4 ქულა – დასახატი ობიექტის აგება შესრულებულია მაღალ დონეზე. პროპორციები დაცულია.</p> <p>2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის აგების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ იცავს პროპორციებს.</p> <p>3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის აგება.</p> <p>3. მოცულობის გადმოცემა – მაქსიმალური ქულა 4</p> <p>1. 2–4 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობა გადმოცემულია მაღალ დონეზე. სტუდენტი კარგად გრძნობს ფორმას და ახერხებს მის სიბრტყეზე გადმოტანას.</p> <p>2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის მოცულობის გადმოცემის მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები. სტუდენტი ვერ ახერხებს ფორმის გადმოცემას სიბრტყეზე.</p> <p>3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მოცულობის გადმოცემა.</p> <p>4. ტექნიკა. შესრულების ხარისხი – მაქსიმალური ქულა 4</p> <p>1. 2–4 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი მაღალია. სტუდენტი კარგად ფლობს ნახატის შესრულების ტექნიკა.</p> <p>2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის შესრულების ხარისხი ნაკლოვანია. სტუდენტს არ აქვს გამომუშავებული ნახატის შესრულების შესაბამისი ტექნიკა.</p> <p>3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის შესრულება.</p> <p>5. მხატვრული დამუშავება – მაქსიმალური ქულა 4</p> <p>1. 2–4 ქულა – დასახატი ობიექტი დამუშავებულია კარგ მხატვრულ დონეზე.</p> <p>2. 0,1–2 ქულა – დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება ნაკლოვანია. ობიექტის სტუდენტი ვერ ახერხებს ნახატის ერთ მთლიანობად შეკვრას.</p> <p>3. 0 ქულა – ვერ შეძლო დასახატი ობიექტის მხატვრული დამუშავება.</p>
<p>დასკვნითი/დამატებითი გამოცდა</p>	<p>დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება გავლილი მასალის ცოდნის გამოვლენა. შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმით: ტესტის (ღია ან დახურული კითხვები), მაგალითების, ამოცანების ან კაზუსების ამოხსნით, თეორიული საკითხების განმარტებით, ნახატის, ნახაზის შესრულებით და სხვ. გამოცდაზე შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი ან რამდენიმე მეთოდის კომბინაცია.</p>

	<p>მაგალითად, გამოცდისთვის შერჩეულ თითოეულ თეორიულ საკითხს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტის საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა. 2. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 3. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. 4. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 5. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 6. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.
<p>ზემოთ მოყვანილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაძლო ვარიანტები. სილაზუსის ავტორი თავად ირჩევს შესაბამის ვარიანტ(ებ)ს.</p>	

შეფასებების ქულათა განაწილება:

ყოველკვირეული შეფასება (წერიტი გამოკითხვა)	15X2=30 ქულა
პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება)	20 ქულა
მეორე შუალედური გამოცდა (ტესტირება)	20 ქულა
დასკვნითი გამოცდა	30 ქულა
ყოველკვირეული, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჯამური ქულა	100 ქულა

დანართი 3.

საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები

საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.

საბაკალავრო ნაშრომის ფორმატი გულისხმობს სტუდენტის მიერ კვლევისა და ანალიზის თემის შერჩევას, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, მასთან კონსულტირებასა და დამოუკიდებელ მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და კრიტიკულ ანალიზს.

საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის, მეცნიერული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოახდინოს არსებული თეორიებისა და მიდგომების შედარება საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

საბაკალავრო ნაშრომის თემას და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი. საბაკალავრო ნაშრომის თემა შეირჩევა სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მე-8 სემესტრის განმავლობაში, ხოლო მისი დაცვა უნდა განხორციელდეს მერვე სემესტრის დასასრულს.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შედეგად სტუდენტი მიიღებს არჩეული თემის ირგვლივ ღრმა თეორიულ ცოდნას, განივითარებს ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული და შედარებითი ანალიზის უნარს.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულება წარმოაჩენს სტუდენტის მზაობას პროფესიულ თემაზე მოამზადოს და არგუმენტირებულად დაიცვას ნაშრომი, გამოავლენს მის მიერ წერილობითი ნაშრომის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისა და პრეზენტაციის ჩატარებისათვის აუცილებელ უნარებს, საფუძველს ჩაუყრის სტუდენტისათვის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემდგომში სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარების გამომუშავებას.

საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 8000 და არაუმეტეს 9 000 სიტყვისა, გაფორმებული წინამდებარე წესის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საბაკალავრო ნაშრომის დადებით შეფასებას (31-50 ქულამდე), მისი შინაარსის გათვალისწინებით, ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ხოლო საჯარო დაცვის (20-50 ქულამდე) შეფასებას ახდენს კომისია, რომელიც შედგება ფაკულტეტის დეკანის მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალიდან შერჩეული პირებისაგან.

საბაკალავრო ნაშრომის და მისი საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია:

- ნაშრომის შინაარსი: თანამიმდევრული მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნები - 20 ქულა;
- ინფორმაციის მოძიება, მისი შესწავლის სიღრმისეულობა, კრიტიკული და შედარებითი ანალიზი - 10 ქულა;
- პრობლემების ხედვა და შეფასება - 10 ქულა;
- ნაშრომის ენა და სტილი, ბიბლიოგრაფიის მითითების სისწორე - 10 ქულა.
- ზეპირი პრეზენტაციის ხარისხი - 20 ქულა;
- დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა - 30 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია

ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.

საბაკალავრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტებით: Sylfaen, AcadNusx, AcadMtav, Litnusx, Literaturuli_BJG_2000, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.

საბაკალავრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). საბაკალავრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ით.

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

საბაკალავრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან

საბაკალავრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი საბაკალავრო ნაშრომის ბოლოს.

საბაკალავრო ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

საბაკალავრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები:

საბაკალავრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ტიტულის გვერდი;
- ბ. შინაარსი;
- გ. ძირითადი ტექსტი;
- გ.ა. შესავალი;
- გ.ბ. შედეგები და მათი განსჯა;
- გ.გ. დასკვნა.
- დ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

საბაკალავრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

- ა. ცხრილების ნუსხა;
- ბ. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;
- გ. დანართები.

საბაკალავრო ნაშრომის შესავალი ნაწილი:

საბაკალავრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას, ბაკალავრის გვარს, სახელს და ტექსტს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, „თბილისი, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და

წელი, როდესაც შესრულდა საბაკალავრო ნაშრომი. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.

საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარს). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი:

საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

საბაკალავრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია საბაკალავრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

საბაკალავრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

ა. სტატია: გვარი ინიციალი. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი დასასრული (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ჟ. მართლმსა-ჯულება, 2007, 2, გვ. 186 - 213.).

ბ. წიგნი:

ბ.ა. ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი-დასასრული (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 68-86.).

ბ.ბ. მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ. (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 379.).

გ. ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

(მაგ.: 1. http://untreaty.un.org/ilc/teksts/instruments/English/draft%2520articles/74_1996.pdf

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.03.2011.).

ლიტერატურის ნუსხაში გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1, აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

საბაკალავრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილები

თუ საბაკალავრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს საბაკალავრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.

ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების,

ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1-ის ტოლი.

ცხრილები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

თუ საბაკალავრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს საბაკალავრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისთვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა საბაკალავრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სადისერტაციო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.